საზღვრის კვეთა

პირველი გაჩერების დასაწყისში ხელით ჩაწერეთ იმ ქვეყნის სიმბოლო, რომელშიც შედიხართ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთის შემდეგ.
აღნიშნული პირველი გაჩერება უნდა იყოს უახლოესი შესაძლო გასაჩერებელი ადგილი საზღვართან ან მის შემდეგ.
თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს საზღვარს ბორნით ან მატარებლით გადაკვეთთ, მაშინ ქვეყნის სიმბოლო პორტში ან ჩასვლის სადგურზე გაჩერებისას უნდა შეიყვანოთ.

სამუშაოს ყოველდღიური დაწყების/ დამთავრების ადგილმდებარეობა

უნდა ჩაიწეროთ იმ ქვეყნების სიმბოლო, რომლებშიც დაიწყო და დასრულდა ყოველდღიური სამუშაო პერიოდი.

რეჟიმის გადამრთველის გამოყენება

თუ თქვენზე ვრცელდება სატვირთო ან სამგზავრო მანქანის მძღოლის სამუშაო საათების მარეგულირებელი წესი, მაშინ უნდა უზრუნველეყოთ ტაქოგრაფის სწორად ოპერირება, რათა ჩაიწეროთ ყველა აქტივობა.

მგზავრების გადაყვანაზე ვრცელდება

„მე-12 დღის წესი“.

გარკვეული გარემოებების არსებობისას, ყოველკვირეული დასვენების პერიოდი შესაძლოა გადავადდეს მე-12 დღის დასრულებამდე ინ მძღოლებისთვის, რომლებიც მარტო ახორციელებენ საერთაშორისო რეისს.

თუკი ტრანსპორტი აღჭურვილია ანალოგი ტაქოგრაფით, მაშინ აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს.
დასვენება უნდა იყოს გამოყენებული შემდეგი წესით:

- სულ ცოტა 45 საათი მოგზაურობის დაწყებამდე;
- ყოველკვირეული დასვენების სულ ცოტა ერთი სტანდარტული და ერთი შემოკლებული პერიოდი მიყოლებით (69 საათი) ან ორი ყოველკვირეული სტანდარტული პერიოდი (45 საათს + 45 საათი), მგზავრობის დასრულების შემდეგ.

თუ სარგებლობთ ყოველკვირეული შემოკლებული პერიოდით, მაშინ დროის შემოკლება უნდა ანაზღაურდეს დასვენების ეკვივალენტური მთლიანი პერიოდით, რომელიც დაკავშირებულია დასვენების სხვა პერიოდთან, მესამე კვირის დასრულებამდე, დეროგაციის პერიოდის დასრულებისთანავე.
ერთი მძღოლის მიერ მართვადი ავტომობილები: თუკი ავტომობილს მართავთ 22.00 სთ-დან 6.00 სთ-მდე პერიოდში, მაშინ ავტომობილის მართვა შესვენების გარეშე შეგიძლიათ მხოლოდ სამი საათის განმავლობაში.

ევროპის შრომის დაცვის ორგანო
Landererova 12, 811 09
Bratislava - სლოვაკეთი
info@ela.europa.eu

www.ela.europa.eu

შეიტყვეთ მეტი
“Your Europe Portal”

© ევროპის შრომის დაცვის ორგანო, 2022 წ

არც ევროპის შრომის დაცვის ორგანო (ELA) და არც მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი არ არის პასუხისმგებელი ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

რეპროდუცირება ნებადართულია წყაროს აღიარების საფუძველზე. ფოტოების ან სხვა მასალის ნებისმიერი გამოყენების ან რეპროდუცირებისთვის ნებართვა, რომელზეც არ ვრცელდება ELA-ს საავტორო უფლებები, უნდა მოითხოვოთ უშუალოდ საავტორო უფლებების მფლობელებისგან.

სურათების საავტორო უფლება: © iStock.com/Hilch

ლუქსემბურგი: ევროკავშირის პუბლიკაციების ოფისი, 2022 წ

Print ISBN 978-92-9464-873-0 doi:10.2883/361942 HP-08-22-101-KA-C
PDF ISBN 978-92-9464-869-3 doi:10.2883/238627 HP-08-22-101-KA-N

HP-08-22-101-KA-C

ევროპის შრომის დაცვის ორგანო

მართვისა და დასვენების რეჟიმები

დასვენების რეჟიმი

ყოველდღიური დასვენების სტანდარტული პერიოდი

ყოველდღიური დასვენების სტანდარტული პერიოდი მინიმუმ 11 საათია.
შეგიძლიათ იგი ორ პერიოდად გაყოთ:

1. ერთი უწყვეტი პერიოდი არანაკლებ 3 საათისა; და
2. ერთი უწყვეტი პერიოდი არანაკლებ 9 საათისა.

ყოველდღიური დასვენების შემოკლებული პერიოდი

11 საათზე ნაკლებია, მაგრამ მინიმუმ 9 საათია. შესაძლებელია ყოველდღიური შემოკლებული დასვენების დროით მაქსიმუმ სამჯერ სარგებლობა ნებისმიერი ორკვირიანი დასვენების პერიოდებს შორის.
ყოველდღიური დასვენების პერიოდით უნდა ისარგებლოთ წინა ყოველდღიური ან ყოველკვირეული დასვენების პერიოდის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში.
ახალი 24-საათიანი პერიოდი იწყება, როდესაც ახლიდან იწყებთ მუშაობას ყოველდღიური ან ყოველკვირეული დასვენების დადგენილი პერიოდის შემდეგ.

ყოველდღიური დასვენება, მანქანაში რამდენიმე მძღოლის ყოფნისას.

ყოველდღიური ან ყოველკვირეული დასვენების პერიოდის დასრულებიდან 30 საათის განმავლობაში უნდა ისარგებლოთ ახალი ყოველდღიური დასვენების პერიოდით სულ მცირე 9 საათის განმავლობაში, თუკი მართავთ ავტომობილს რამდენიმე მძღოლის მონაწილეობით. ეს ეხება თითოეულ მძღოლს.

ყოველკვირეული დასვენება

ყოველკვირეული დასვენების სტანდარტული პერიოდი მინიმუმ 45 საათია. ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდი არის მინიმუმ 24 საათი, მაგრამ 45 საათზე ნაკლებია.

ყოველკვირეული დასვენება უნდა დაიწყოს წინა ყოველკვირეული დასვენების პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 144 საათისა (6 x 24 საათი).

ზედიზედ ორ ფიქსირებულ კვირაში (ორშაბათიდან კვირამდე) უნდა ისარგებლოთ მინიმუმ:

- ორი ყოველკვირეული დასვენების სტანდარტული პერიოდით (მინიმუმ 45 საათი თითოეული); ან
- ერთი ყოველკვირეული დასვენების სტანდარტული პერიოდით (მინიმუმ 45 საათი) და ერთი ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდით (მინიმუმ 24 საათი).

თუ სარგებლობთ ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდით, დროის შემოკლება უნდა ანაზღაურდეს დასვენების ეკვივალენტური პერიოდით მთლიანად სარგებლობით, რომელიც დაკავშირებულია მინიმუმ 9-საათიან დასვენების სხვა პერიოდთან, მესამე კვირის დასრულებამდე, იმ კვირის შემდეგ, როდესაც მოხდა დროის შემოკლება.

ავტოტრანსპორტის მართვის რეჟიმი

მართვის ყოველდღიური რეჟიმი

მაქსიმუმ 9 საათია. შეგიძლიათ გადააჭარბოთ 9 საათს, მაგრამ არა უმეტეს კვირაში ორჯერ და შემდეგ მაქსიმუმ 10 საათამდე.

ერთკვირიანი/ორკვირიანი მგზავრობა

მაქსიმუმ 56 საათია 1 კვირაში. არაუმეტეს 90 საათისა 2 კვირის განმავლობაში.

შესვენება

4,5-საათიანი მართვის შემდეგ, უნდა დაისვენოთ მინიმუმ 45 წუთი (თუ არ იყენებთ დასვენების პერიოდს).

შესვენება შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად და უნდა გამოიყენოთ 4,5-საათიანი მართვის პერიოდში. შესვენება შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

1. მინიმუმ 15 წუთი, პირველი ნაწილისთვის; და
2. მინიმუმ 30 წუთი, მეორე ნაწილისთვის.



ყოველკვირეული დასვენების სხვა რეჟიმები, რომელიც შემოღებულია მობილობის პაკეტის საფუძველზე 2020 წლის 20 აგვისტოს

თქვენ არ შეგიძლიათ ისარგებლოთ ყოველკვირეული სტანდარტული დასვენებით მანქანაში

- თქვენმა დამქირავებელმა უნდა აანაზღაუროს შესაბამისი საცხოვრებლის ხარჯები, სადაც შეგიძლიათ დაისვენოთ ადეკვატური ძილისა და სანიტარული საშუალებების უზრუნველყოფით.
- თქვენმა დამქირავებელმა უნდა მოგცეთ საშუალება ზედიზედ 3 ან 4 თანმიმდევრული კვირის განმავლობაში დაბრუნდეთ (დამოკიდებულია გქონდათ თუ არა ზედიზედ ორჯერ ყოველკვირეული შემოკლებული დასვენება) ჩამოთვლილი ორი ადგილიდან ერთ-ერთზე, რათა ისარგებლოთ ყოველკვირეული სტანდარტული დასვენებით:
  1. დამსაქმებლის საოპერაციო ცენტრში ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც დაფუძნებულია ის და სადაც ჩვეულებრივ ხართ ბაზირებული; ან
  2. მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე, თუ იგი განსხვავდება დამსაქმებლის დაფუძნების ადგილისგან.

თუ ხართ მძღოლი, რომელიც საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებზე მუშაობს:

- **შეგიძლიათ ისარგებლოთ ზედიზედ ორი ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდით საზღვარგარეთ, იმ პირობით, რომ ზედიზედ 4 კვირაში ისარგებლებთ მინიმუმ ყოველკვირეული დასვენების ოთხი პერიოდით;**
- **ამ დასვენების პერიოდიდან მინიმუმ ორი უნდა იყოს ყოველკვირეული დასვენების სტანდარტული პერიოდი;**
- **ყოველკვირეული დასვენების ზედიზედ ორი შემოკლებული პერიოდის შემდეგ, თქვენმა დამსაქმებელმა თქვენი სამუშაო უნდა დაგეგმოს იმგვარად, რომ საშუალება მოგცეთ დაბრუნდეთ წინა ნაწილში აღნიშნულიდან რომელიმე ერთ ადგილზე (პუნქტები 1. და 2.), ყოველკვირეული დასვენების სტანდარტული პერიოდის მომდევნო კვირაში კომპენსაციის სახით მიღებული 45 საათზე მეტით;**
- **კომპენსაცია უნდა მიიღოთ დაუყოვნებლივ, მომდევნო კვირაში ყოველკვირეული სტანდარტული დასვენების წინ.**

ბორანი/მატარებლის შეფერხებები

თუ ხართ ბორნით ან მატარებლით გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალების თანმხლები პირი, მაშინ ყოველდღიური დასვენების სტანდარტული პერიოდი ან ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდი შეიძლება შეწყდეს.

- ნებადართულია მაქსიმუმ ორი შესვენება, არაუმეტეს ჯამში 1 საათის ხანგრძლივობისა.

ყოველკვირეული დასვენების შემოკლებული პერიოდის განმავლობაში უნდა გქონდეთ წვდომა საძილე სალონზე, სათავსოსა ან ლოგინზე.

ეს გამონაკლისი ეხება მხოლოდ ყოველკვირეულ დასვენების სტანდარტულ პერიოდებს, თუ დაგეგმილია მინიმუმ 8 საათიანი მგზავრობა და მძღოლს აქვს წვდომა საძილე სალონზე.

არ გაქვთ უფლება ყოველკვირეული სტანდარტული დასვენების ნაწილი გაატაროთ მანქანაში ბორანიდან/მატარებლიდან გასვლამდე ან/და ჩამოსვლის შემდეგ.